შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

პროფესიული უნარების ტესტი წამყვანი და მენტორი მასწავლებლობის მსურველთათვის

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის და ღია დავალებები (სულ 32 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

* ზოგიერთი დავალება არ თავსდება ერთ გვერდზე, ასეთ შემთხვევაში მეორე და ა. შ. გვერდის საძიებლად დავალების ნომერს ემატება ლათინური ასო - a,b…

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 1

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება ხუთ საგანმანათლებლო პრინციპს.

ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერა შეესაბამება ამ პრინციპებიდან ერთ-ერთს — სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას?

ა) სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე ახალ ცოდნას აფუძნებს ძველზე. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მას ახალი მასალა არ მიეწოდება ერთბაშად და მოუმზადებლად.

ბ) სწავლა-სწავლების პროცესში თეორიული მასალის დამახსოვრებასთან ერთად ყურადღება ექცევა პროცედურებსაც და თეორიული მასალის ცხოვრებაში პრაქტიკულ გამოყენებას.

გ) სწავლა-სწავლების დროს მოსწავლე შემოქმედებით პროცესშია ჩართული, თავად აგებს ცოდნას, იყენებს საკუთარ გამოცდილებას და არ იმყოფება პასიური მსმენელის როლში.

დ) სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეს ეხმარება სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაერთიანებასა და ცოდნის კონსტრუირებაში.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 2

დაკვირვება მოსწავლეების შესაძლებლობების გაცნობის, მათი განვითარების დინამიკის მონიტორინგისა და, შესაბამისად, განმავითარებელი შეფასების ეფექტიანი ინსტრუმენტია.

დაკვირვების მეთოდის გამოყენების დროს რომელი რეკომენდაციის/რეკომენდაციების გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი?

I. დაავიწროვეთ დაკვირვების ფოკუსი ოთხი ან ხუთი მოსწავლისა და ერთი-ორი კონკრეტული შედეგის შერჩევით.

II. დააკვირდით მოსწავლეს რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში და ეძებეთ ქცევის კანონზომიერებები.

III. წინასწარ ნუ აცნობებთ მოსწავლეებს, რას დააკვირდებით, რადგან ამან შეიძლება დააბრკოლოს მათი ქცევა.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 3

ჩამოთვლილთაგან **ყველაზე უკეთ** რომელი აქტივობების გამოყენებით არის შესაძლებელი მასწავლებლის მიზანმიმართული პროფესიული განვითარება?

ა) მასწავლებელი საკუთარ პროფესიონალიზმს უნდა აფასებდეს კოლეგების მიღწევებთან საკუთარი მიღწევების შედარების გზით, რასაც ის შეძლებს ხშირი დასწრებით მათ მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე.

ბ) მასწავლებელი უნდა აკეთებდეს საკუთარი პრაქტიკის კრიტიკულ ანალიზსა და რეფლექსიას, რის საფუძველზეც იგი დაგეგმავს თავის პროფესიულ განვითარებას. ამაში მას დაეხმარება კოლეგებთან თანამშრომლობა.

გ) მასწავლებელს ხშირი კონტაქტი უნდა ჰქონდეს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რათა მიიღოს მათგან უკუკავშირი საკუთარი საქმიანობის შესახებ და ამ უკუკავშირის საფუძველზე დაადგინოს საკუთარი საჭიროებები.

დ) მასწავლებელი ხშირად უნდა ესწრებოდეს აკრედიტებული ორგანიზაციების მიერ პედაგოგებისთვის ჩატარებულ ტრენინგებს სხვადასხვა საკითხზე, რომლებიც სწორედ მათ პროფესიულ განვითარებას ისახავს მიზნად.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 4

არავერბალურ კომუნიკაციაში, უპირველეს ყოვლისა, პარალინგვისტური ელემენტები მოიაზრება. ეს არის მეტყველების შემადგენელი დამატებითი ერთეულები, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ კომუნიკაციის პროცესზე.

ჩამოთვლილთაგან რომელ მსჯელობა/მსჯელობებშია სწორად წარმოდგენილი მეტყველების პარალინგვისტური ნიშნები?

I. პარალინგვისტურ ნიშნებს მიეკუთვნება მეტყველების სოციალური და გეოგრაფიული მახასიათებლები, როგორებიცაა: ჟარგონი, დიალექტი, სლენგი, პროფესიული მეტყველება.

II. პარალინგვისტურ ნიშნებს მიეკუთვნება მეტყველების კულტურული კონტექსტი, ლექსიკურ-მორფოლოგიური მახასიათებლები, ფონეტიკური თავისებურება.

III. პარალინგვისტურ ნიშნებს მიეკუთვნება საუბრის მანერა, ხმის ინტონაცია, ტემპი, წარმოთქმული სიტყვების ფსიქო-კოგნიტური მოდელირება, ხმის სიმაღლე.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 5

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია ფოკუს-ჯგუფი. ეს ინტერვიუს ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ყველა რესპონდენტს აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას.

ჩამოთვლილთაგან რომელია ფოკუს-ჯგუფის მეთოდის არსებითი უპირატესობა/უპირატესობები?

I. მკვლევარ მასწავლებელს საშუალება ეძლევა, აღმოაჩინოს ახალი თემები და წამოჭრას ახალი პრობლემური საკითხები.

II. მკვლევარ მასწავლებელს საშუალება ეძლევა, თვალი ადევნოს მონაწილეთა მოსაზრებების ჩამოყალიბების პროცესს.

III. მკვლევარ მასწავლებელს საშუალება ეძლევა, დარწმუნდეს, ემთხვევა თუ არა მონაწილეთა აზრი მის მოსაზრებებს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 6

რომელ რჩევას/რჩევებს მისცემდით მასწავლებელს, იმ შემთხვევაში, თუ მას საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ მოსწავლე ძალადობის მსხვერპლია?

I. გაარკვიეთ საკითხი მოსწავლის მშობლებთან და მათგან მიიღეთ განმარტება, რა მოხდა და რატომ აქვს ბავშვს ძალადობის ნიშნები.

II. გაარკვიეთ დაზარალებულ მოსწავლესთან, არის თუ არა ის ძალადობის მსხვერპლი და ოჯახის რომელი წევრია მოძალადე.

III. ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია, ინფორმაცია მიაწოდოთ შესაბამის ორგანოებს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 7

კომპლექსური დავალება ორიენტირებული უნდა იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე - დეკლარატიულზე, პროცედურულსა და პირობისეულზე.

ჩამოთვლილთაგან რომელი დავალება აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას **ყველაზე მეტად?**

ა) სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის მიხედვით შეავსე კოგნიტური სქემა „მოვლენათა ჯაჭვი“და შემდეგ მასზე დაყრდნობით გადმოეცი შინაარსი.

ბ) ტექსტში ამოღებულია რამდენიმე სიტყვა. დააბრუნე „დაკარგული“ სიტყვები. შეგიძლია გამოტოვებული სიტყვის ადგილას ჩაწერო რამდენიმე სავარაუდო ვარიანტი.

გ) მოთხრობის მიხედვით შეავსე სამსვეტიანი სქემა: „ვიღაცას უნდოდა / მაგრამ / საბოლოოდ“. დაადგინე, ვის რა უნდოდა, რა კონფლიქტი წარმოიშვა და როგორ გადაწყდა ის.

დ) შეარჩიე ტექსტიდან სასურველი პერსონაჟი. წარმოიდგინე, როგორი იქნებოდა მისი ცხოვრება ნაწარმოებში გამოჩენამდე. ამისათვის გამოიყენე ტექსტში მოცემული მინიშნებები.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 8

ლიდერ მასწავლებლებს მოსწავლეებთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ. ეს გამოცდილება მათ მნიშვნელოვნად დაეხმარება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების ხელმძღვანელობაში. თუმცა, მათ ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ ზრდასრულებთან, ანუ კოლეგებთან, მუშაობას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს.

ჩამოთვლითაგან რომელი თავისებურება **არ ახასიათებს** ზრდასრულთა განათლებას:

ა) ზრდასრულებს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ, ამიტომ ნაკლებად ღელავენ, შეძლებენ თუ არა კონკრეტული ცოდნისა და უნარების შეძენას დროის მოკლე მონაკვეთში.

ბ) ზრდასრულები სკეპტიკურად არიან განწყობილები ახალი ინფორმაციის მიმართ. ამჯობინებენ, თავდაპირველად მოსინჯონ, გამოიყენონ და შემდეგ აღიარონ ის სასარგებლო რესურსად.

გ) სწავლის პროცესის მნიშვნელოვნებისა და ღირებულებიდან გამომდინარე, ზრდასრულები თავად იღებენ პასუხისმგებლობას ამ პროცესის წარმატებით განხორციელებაზე.

დ) ზრდასრულებისათვის მნიშვნელოვანია სწავლის შინაარსი და პროცესი უკავშირდებოდეს მათ ყოველდღიურ პრაქტიკას, საჭიროებებსა და ინტერესებს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 9

მოსწავლე ხშირად აბეზღებს თანაკლასელებს მასწავლებელთან, ატყობინებს მას არა რეალური საფრთხის შესახებ, არამედ თანაკლასელების საქციელის ისეთ დეტალებს, რაც პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნებად შეიძლება ჩაითვალოს.

ჩამოთვლილთაგან რომელ რჩევას/რჩევებს მისცემდით მასწავლებელს, თუ მოსწავლე ეუბნება, რომ ეს დაბეზღება კი არა, უბრალოდ შეტყობინებაა?

I. კონკრეტული ისტორიის დახმარებით უჩვენეთ მოსწავლეს განსხვავება დაბეზღებასა და საფრთხის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას შორის.

II. აუხსენით მოსწავლეს, რომ მეგობრის შესახებ რაიმე ინფორმაციის მიწოდება არ არის სწორი და აუკრძალეთ სხვა დროს ასე მოქცევა.

III. საკლასო დისკუსიის დროს მოსწავლეებს მიეცით შესაძლებლობა, იმსჯელონ ამა თუ იმ ინფორმაციის დაფარვის ან გამჟღავნების შედეგებზე.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 10

**დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე*

სოციალურმა სამსახურმა საჯარო სკოლის დირექციას მიმართა თხოვნით, სკოლაში ჩარიცხოს ქუჩაში მცხოვრები ბავშვი, რომელმაც არ იცის წერა-კითხვა, მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილებით ისწავლა ციფრები, ფულის თვლა და ანგარიში. ბავშვს უჭირს, დაემორჩილოს წესებს, იჯდეს წყნარად, იმეგობროს თანატოლებთან. სკოლის დირექტორმა სოციალურ სამსახურს უარი უთხრა იმ მოტივით, რომ მას არ ჰყავს სპეციალური მასწავლებელი.

თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით შეაფასეთ დირექტორის ქმედება.

სკოლის დირექტორის უარი:

ა) **დასაშვებია,** რადგან მოსწავლე ბევრი კრიტერიუმით ჩამორჩება ესგ-ით განსაზღვრულ კომპეტენციებს და მხოლოდ საგნის მასწავლებლებს, სპეციალური მასწავლებლის დახმარების გარეშე, გაუჭირდებათ მოსწავლესთან ისგ-ით მუშაობა.

ბ) **დაუშვებელია,** რადგან განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ყველა ბავშვს აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რომელიც სკოლამ უნდა უზრუნველყოს.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

გ) **დასაშვებია,** რადგან ასეთ მოსწავლეს დასჭირდება რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობა. სკოლას არ ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, საგნის მასწავლებელი კი ვერ მიატოვებს სასწავლო პროცესს, იმისათვის, რომ ამ მოსწავლეს დაუთმოს დრო.

დ) **დაუშვებელია,** რადგან თუ მოსწავლემ მისთვის საჭირო პრაქტიკული უნარი - ანგარიში დამოუკიდებლად აითვისა, დროთა განმავლობაში არც მისთვის საჭირო და აუცილებელი სხვა უნარების შეძენა გაუჭირდება სპეციალური მასწავლებლის დახმარების გარეშე.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 11

პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია როგორც კრიტიკული, ისე შემოქმედებითი აზროვნების გამოყენებით.

ჩამოთვლილთაგან რომელი პრობლემის გადაჭრა მოითხოვს შემოქმედებით მიდგომას?

ა) შეადარეთ ერთმანეთს სატელეფონო კომპანიის ტარიფები და მოიყვანეთ არგუმენტები მათ შორის ყველაზე მისაღების მხარდასაჭერად.

ბ) გემბანზე 260 ტონა ტვირთია. რამდენი ვაგონი დაგჭირდებათ ამ რაოდენობის ტვირთის გადასაზიდად, თუ თითო ვაგონში 60 ტონა ეტევა?

გ) ახალი სამსახური თქვენი სახლიდან 20 კმ-ის დაშორებითაა. ტრანსპორტის რომელ სახეობას აირჩევდით სამსახურში დროულად მისასვლელად?

დ) თქვენ გადაწყვიტეთ, ზამთარში ბოსტნეული სარდაფში შეინახოთ. როგორ მოიქცევით იმისათვის, რომ ბოსტნეული სარდაფში არ გაიყინოს?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 12

სწავლის უნარის დარღვევათა შორის ერთ-ერთია დისლექსია, რომელიც ვლინდება:

ა) საკუთარი აზრის ზეპირად გადმოცემის, თხრობის სირთულეებით.

ბ) რიცხვების ცნობისა და მათემატიკური მანიპულაციების სირთულეებით.

გ) კალიგრაფიისა და საკუთარი აზრის წერილობით გამოხატვის სირთულეებით.

დ) კითხვის, ბგერების მარცვლებად და მერე სიტყვებად შეერთების სირთულეებით.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 13

სასწავლო პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ, სკოლის სოციალურ გვერდსა და საგანმანათლებლო ონლაინპლატფორმაზე მასწავლებელმა გამოაქვეყნა პროექტის დეტალური აღწერა. მან მშობლებს სიურპრიზი მოუწყო და პროექტთან ერთად მასში მონაწილე მოსწავლეების მუშაობის ამსახველი ფოტომასალაც ატვირთა.

მასწავლებლის ქმედების შესახებ გამოთქმული რომელი მსჯელობა/მსჯელობებია მართებული?

I. მასწავლებლის ქმედება მისაღებია, რადგან სკოლის წარმატებული პროექტის შესახებ ბევრი ადამიანი გაიგებს და თავადაც მოუნდებათ საინტერესო აქტივობების განხორციელება.

II. მასწავლებლის ქმედება გამართლებულია, რადგან მოსწავლეებს მოსწონთ, როდესაც მათი მიღწევების შესახებ ბევრი შეიტყობს, ასეთი აქტივობები სკოლასა და მასწავლებელსაც დადებითად წარმოაჩენს.

III. მასწავლებლის ქმედება არაეთიკურია, რადგან პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება და გავრცელება წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 14

ჩამოთვლილთაგან რომელია **ყველაზე ადეკვატური** აქტივობა ცოდნის გენერალიზებისთვის?

ა) სიტუაციურად დასწავლილი ქცევის და შეძენილი ცოდნის ერთ კონკრეტულ გარემოში გამოყენება მასტიმულირებელი მასალის გარეშე.

ბ) ახლადშეძენილი ცოდნის გამოყენება სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებული ადამიანური და მატერიალური რესურსების დახმარებით.

გ) სწავლის პროცესში მულტიმოდალური მიდგომის გამოყენება და ცოდნის შეძენისას შეგრძნების ყველა მოდალობის ჩართვა.

დ) ახლადშეძენილი უნარების გავარჯიშება, კონკრეტული ცოდნის ათვისება და დროში ხანგრძლივად შენარჩუნება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 15

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით წამყვანსა და მენტორ მასწავლებლებს დამატებითი მოთხოვნები აქვთ განსაზღვრული.

ჩამოთვლილთაგან რომელია წამყვანი მასწავლებლის ვალდებულება/ვალდებულებები?

I. საჭიროების შემთხვევაში, ტუტორების/პრაქტიკის ხელმძღვანელებისთვის რეკომენდაციების შემუშავება ან მათი ხელმძღვანელის ფუნქციის შესრულება.

II. საჭიროებების გათვალისწინებით, ეროვნულ დონეზე ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება.

III. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება ეროვნულ დონეზე სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III .

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 16

სკოლას მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების განმსაზღვრელი შეფასებისათვის არჩეული აქვს ერთ-ერთი მოდელი, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ შესრულებული შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შედეგებს და გამორიცხავს საკლასო და საშინაო აქტივობებში მიღებულ განმსაზღვრელ შეფასებებს.

ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაში იქნება **ყველაზე მეტად ვალიდური** აღნიშნული მოდელით მოსწავლეთა შეფასება?

ა) როდესაც შემაჯამებელი კომპლექსური დავალება ავლენს მოსწავლის დეკლარაციული ცოდნის მაღალ ხარისხს.

ბ) როდესაც შემაჯამებელი კომპლექსური დავალების შეფასება ემთხვევა კონკრეტული მოსწავლის თვითშეფასებას.

გ) როდესაც შემაჯამებელი კომპლექსური დავალება გვაძლევს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

დ) როდესაც შემაჯამებელი კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები მოიცავს სასწავლო თემის ფარგლებში მოსწავლის აქტივობათა შეფასებას.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 17

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

სწავლებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსწავლეებში ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ისეთი საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, როგორებიცაა: წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება, ციფრული წიგნიერება, მულტილინგვური წიგნიერება, სწავლის სწავლის კომპეტენცია, მეწარმეობა და სამოქალაქო კომპეტენცია.

ჩამოთვლილთაგან რომელი კომპლექსური დავალება უწყობს ხელს **ყველაზე მეტად** სამოქალაქო კომპეტენციის განვითარებას?

ა) მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა მათთვის ყველაზე საყვარელი წიგნის ანოტაციის ან რეკლამის მომზადება ისე, რომ ამ ანოტაციის/რეკლამის საფუძველზე სხვა მოსწავლეებსაც აღძვროდათ წიგნის წაკითხვის სურვილი.

ბ) მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, შეესწავლათ ადგილობრივი წყალსაცავის ეკოლოგიური მდგომარეობა, განესაზღვრათ წყლის დაბინძურების ხარისხი და ინფორმაცია მიეწოდებინათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის ბუკლეტების სახით.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

გ) მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, მოემზადებინათ მოხსენება, რომელშიც წარმოადგენდნენ ინფორმაციას ტექნოგენურ კატასტროფებზე და თანატოლებს სამყაროში მიმდინარე გლობალურ ეკოლოგიურ პროცესებს გააცნობდნენ.

დ) მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, შეესწავლათ ბაზარზე არსებული კბილის საწმენდი პასტების შემადგენლობა და ამის საფუძველზე აერჩიათ პროდუქტი, რომელიც მათ ჯანსაღი კბილების შენარჩუნებაში დაეხმარებოდა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 18

ჩამოთვლილთაგან **ყველაზე ნაკლებად** რომელი ქმედება შეუწყობს ხელს მულტიკულტურულ განათლებას?

ა) განსხვავებული კულტურის ადამიანებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარების მიზნით, გაესაუბრეთ ოჯახის, საზოგადოების წევრებსა და სხვა მასწავლებლებს თქვენთვის უცხო გამონათქვამების, ჟესტების ან საპასუხო რეაქციის მნიშვნელობის გასაგებად.

ბ) დისკრიმინაციული ქმედებების პრევენციის მიზნით, სკოლის შინაგანაწესში შეიტანეთ მუხლი მოსწავლეების მიერ რასისტული და სექსისტური გამოვლინებების აღმოჩენის შემთხვევაში მკაცრი რეაგირების შესახებ.

გ) დისკრიმინაციული ქმედებების პრევენციის მიზნით, შეისწავლეთ სტერეოტიპებისა და ცრურწმენების შესახებ არსებული სასწავლო მასალა და დაეხმარეთ მოსწავლეებს მათ გამოვლენასა და გაცნობიერებაში.

დ) დაასწარით მოსწავლეები ადგილობრივი თემის ტრადიციულ ღონისძიებებსა და დღესასწაულებს, გამოიყენეთ ეს ღონისძიებები, როგორც ტრადიციების წარმოშობისა და მნიშვნელობის განხილვის შესაძლებლობა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 19

მასწავლებელმა, როდესაც კლასი ახალ თემასთან დაკავშირებულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობდა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლესაც იმავე კომპლექსური დავალების მისთვის ადაპტირებული ვერსია მისცა.

შეაფასეთ მასწავლებლის ქმედება თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით:

ა) **მართებულია,** რადგან კომპლექსური დავალებების ადაპტირებული ვერსიები სსსმ მოსწავლეთა მიღწევის დონეს უფრო ამაღლებს, ვიდრე მათთვის ინდივიდუალურად შერჩეული დავალებები.

ბ) **მართებული არ არის,** რადგან ადაპტირების მიუხედავად, განსხვავებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დავალება სსსმ მოსწავლისათვის შესაძლოა, არარელევანტური აღმოჩნდეს.

გ) **მართებულია,** რადგან სსსმ მოსწავლე ხდება კლასში მიმდინარე სასწავლო პროცესის თანამონაწილე და თანაკლასელებთან ერთად იზიარებს სასწავლო კონტექსტს.

დ) **მართებული არ არის,** რადგან სსსმ მოსწავლე სასწავლო პროცესში უნდა ერთვებოდეს მხოლოდ მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქტივობებით.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 20

რემედიაცია გულისხმობს სწავლაში არსებული პრობლემების შემცირებას ან აღმოფხვრას ხელახლა სწავლების გზით კონკრეტული აქტივობების საშუალებით.

რემედიაციული სწავლების დროს:

ა) მასწავლებლის დაკვირვების საფუძველზე უნდა შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლეებისათვის.

ბ) სტანდარტის შედეგების მისაღწევად მთელი კლასისთვის უნდა დაიგეგმოს აუთვისებელი საკითხების ხელმეორედ სწავლება.

გ) უნდა მოინიშნოს ის საკითხები, რომელთა სასწავლო გეგმიდან ამოღებაც მართებულად მიაჩნიათ მომდევნო სასწავლო წლიდან.

დ) უნდა შედგეს იმ მოსწავლეთა სია, რომელთაც რემედიაციული სწავლების პროგრამაში ჩართვა სჭირდებათ და მათთვის შეიქმნას შესაბამისი გეგმა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 21

სამოქმედო კვლევის განხორციელებისას მეტად ეფექტიანია მრავალინსტრუმენტიანი (ტრიანგულაციური) მიდგომა, რადგან:

ა) ითვალისწინებს ფოკუსჯგუფის წევრთა სხვადასხვა ინტერესს.

ბ) უზრუნველყოფს სხვადასხვა საკითხის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას.

გ) კომპლექსურ საკითხებსა და მოვლენებს იკვლევს სხვადასხვა რაკურსიდან.

დ) შესაძლებელს ხდის სხვადასხვა ფოკუსჯგუფის მონაცემთა ურთიერთშედარებას.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 22

საგანმანათლებლო პროცესი უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე დაყრდნობით უნდა იყოს აგებული.

ჩამოთვლილთაგან რომელ აქტივობაშია ასახული მოქმედებისა და გამოხატვის მრავალფეროვანი საშუალებების უზრუნველყოფის პრინციპი?

ა) მასწავლებელმა შესასწავლი მოთხრობის წარდგენისას გამოიყენა ილუსტრაციები, შემდეგ აჩვენა ამ თემაზე შექმნილი ანიმაცია და მიაწოდა მოთხრობის სიუჟეტის განვითარების სქემა.

ბ) მასწავლებელმა მათემატიკური ამოცანის ამოხსნის დროს მოსწავლეებს შესთავაზა, სურვილისამებრ ამოერჩიათ ნახატის ან სამგანზომილებიანი ფიგურების შექმნა ან/და ცხრილის შევსება.

გ) მასწავლებელმა მოთხრობის შესწავლამდე მოსწავლეებს გაახსენებინა მსგავსი სიტუაციები მათი ცხოვრებიდან და შესთავაზა, განესახიერებინათ ისინი როლური თამაშით.

დ) ანბანის ერთ-ერთი ასო-ბგერის ახსნისას მასწავლებელმა გამოიყენა სენსორული ანბანი და შემდეგ მოსწავლეებს ხელით შემოახაზვინა თიოეული ასო-ბგერა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში — სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში. აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ორ პირობას შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.

შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 23

*დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მეთოდოლოგიური ნაწილის მოთხოვნაა ყურადღების გამახვილება საგანთა შორის ინტეგრაციაზე. ესგ-ის მიხედვით, ინტეგრირება სამი სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი.

ცხრილის A სვეტში მოცემულია მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობები, B სვეტში კი - საგანთა შორის ინტეგრაციის გზები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

აქტივობა (A)	**ინტეგრაციის გზა (B)**
I. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა პერსონაჟის სახეზე მუშაობისას მოსწავლეებს გააცნო პორტრეტის არსი, პორტრეტის შესახებ მათ ინფორმაცია მიიღეს ხელოვნების გაკვეთილებზეც. მოსწავლეებს უნდა ემსჯელათ იმის შესახებ, თუ როგორ იქმნება პორტრეტი ლიტერატურაში და როგორ - სახვით ხელოვნებაში.	
II. ლიტერატურის მასწავლებელმა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელთან თანამშრომლობით მოსწავლეებს მოამზადებინა მულტიმედიური ფორმატის ტექსტი - ვიდეო ესეი ქართველ სიმბოლისტებზე.	

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

III. ხელოვნების მასწავლებელმა, მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს შეასწავლა რომანტიზმი მხატვრობაში, დაავალა თემასთან დაკავშირებული მასალების მოძიება, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და პრეზენტაციის მომზადება საკითხზე: „თავისუფლების იდეა მხატვრობასა და ლიტერატურაში“, მათ ასევე უნდა გამოეყენებინათ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე შესწავლილი ნაწარმოები, რომლის მთავარი იდეა იყო თავისუფლებისათვის ბრძოლა.	ა) სასწავლო მასალის დაკავშირება თემის ერთიან კონტექსტთან ბ) ერთ საკითხთან მიმართებით სხვადასხვა საგნის ინტეგრირების არეალის გამოკვეთა
IV. მას შემდეგ, რაც ქართული ენის მასწავლებელმა თემის - „გმირი წინაპრები“ - ფარგლებში მოსწავლეებს შეასწავლა ნაწარმოებები სახელოვანი წინაპრების შესახებ, ხოლო ისტორიის მასწავლებელმა ამავე თემაზე - ისტორიული გმირების შესახებ წყაროები დაამუშავებინა, მოსწავლეებმა მოამზადეს პრეზენტაცია ერთ-ერთ მათთვის სასურველ გმირზე.	გ) ინტეგრირება კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a

24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 24

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

დიფერენცირება გულისხმობს სწავლების მორგებას მოსწავლეების საჭიროებებზე ისე, რომ გაიზარდოს მათი შესაძლებლობები, ცოდნა და განვითარდეს უნარები.

ცხრილის A სვეტში მოცემულია მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობები, ხოლო B სვეტში - დიფერენცირების საფუძველი. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

	აქტივობა (A)	**დიფერენცირების საფუძველი (B)**
I.	მასწავლებელმა უცხო ენაში მოსწავლეების ერთ ნაწილს დასამუშავებლად მისცა ტექსტის ადაპტირებული ვერსია, მეორე ნაწილს - სრული ვარიანტი, მესამეს კი - ავთენტური ტექსტის ნაკლული ვარიანტი, რომელიც უნდა შეევსოთ და გაეანალიზებინათ.	ა) ინტერესი
II.	მასწავლებელმა Excel-ის სწავლებისას მოსწავლეებს მისცა ასარჩევად დავალებები: ცნობილი მსახიობების შემოსავლების დაანგარიშება, ფეხბურთის ცნობილი გუნდების შედეგების სტატისტიკური მონაცემების დამუშავება ან ჯანსაღი კვების რაციონის კალორიების ცხრილების სახით წარმოდგენა.	ბ) მზაობა გ) მოსწავლის პროფილი

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

III.	მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცა შესაძლებლობა, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა წარმოედგინათ წერილობით, ზეპირსიტყვიერად, მაკეტის ან დიაგრამის სახით.	
IV.	მასწავლებელმა შესთავაზა მოსწავლეებს, აერჩიათ ინტერვიუერი ცნობილი ადამიანებიდან და მოემზადებინათ შეკითხვები წარმოსახვითი ინტერვიუსათვის.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 25

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მაქსიმალური ქულა - 4

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დაუფლება საჭიროა მოსწავლეთა მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის.



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც დაგეხმარებათ, მოსწავლეებს განუვითაროთ ანალიტიკური აზროვნების უნარი და განმარტეთ, როგორ შეუწყობს ის ხელს აღნიშნული უნარის განვითარებას.
- ახსენით, რატომ არის მნიშვნელოვანი დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბებისათვის ამ კომპეტენციის განვითარება.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 26

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მაქსიმალური ქულა - 4

მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზა ასეთი სახის „სასწავლო მენიუ“:

სავალდებულო ყველასათვის
ერთი დავალება
არჩევითი
ქვემოთ მოცემული დავალებებიდან აირჩიეთ ერთ-ერთი და შეასრულეთ ინდივიდუალურად ან წყვილებში: დავალება 1, დავალება 2, დავალება 3 ...

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

არასავალდებულო
სურვილის შესაბამისად, დავალებებიდან შეასრულეთ ერთი ან ერთზე მეტი (შეგიძლიათ არც შეასრულოთ ეს დავალებები): დავალება 4, დავალება 5, დავალება 6, დავალება 7...

– აღწერეთ ორი მიზანი, რომელთა მიღწევასაც უწყობს ხელს მასწავლებლის მიერ გამოყენებული მეთოდი.
– დაასაბუთეთ, როგორ შეუწყობს ხელს აღნიშნული მეთოდი თითოეული მიზნის მიღწევას.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 27

მაქსიმალური ქულა - 3

მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიზანია გენდერული თანასწორობა.

მასწავლებელმა დაგეგმა პროექტი და დაისახა ამოცანა:

„მოსწავლე ფლობს ცოდნას გენდერის, გენდერული თანასწორობისა და გენდერული დისკრიმინაციის ცნებების შესახებ და გენდერული დისკრიმინაციის, ძალადობისა და უთანასწორობის ყველა ფორმის შესახებ.“

– აღწერეთ აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ მოსწავლეებთან ერთად ამ პროექტის ფარგლებში.
– ახსენით, როგორ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ გამოყენებული აქტივობა მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 28

მაქსიმალური ქულა - 3

პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლების ფორმატზე გადასვლამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა სასწავლო პროცესში. კვლევებით დადასტურდა, რომ ტრადიციული განათლების მსგავსად, დისტანციურ სწავლებასაც ჰქონდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დისტანციური სწავლების პერიოდში სასკოლო ბულინგი და კონფლიქტები ჩაანაცვლა კიბერბულინგმა.

- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს კიბერბულინგის პრობლემის თავიდან აცილებაში.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

****პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.***

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

მაქსიმალური ქულა - 8

„დღეს ისტორიის ახალგაზრდა და „საყვარელი“ მასწავლებელი ჭკუიდან გადავიყვანეთ. შემაჯამებელი გამოკითხვა გვქონდა, მომზადებულებიც ვიყავით, ჩემი კლასი არც ისე წყალწაღებულ კლასად ითვლება ჩვენს ნაკადში. მაგრამ, რაკი გამოკითხვა რამდენიმე კითხვისგან შედგებოდა, რატომღაც ყველამ იფიქრა, რომ მაღალ ქულას იმსახურებდა. ყველაზე მეტად ალექსი გაჯიუტდა, მარტო ერთ შეკითხვაზე ვერ გიპასუხეთ და რვიანს რატომ მიწერთო, თუ ასეა, ეთომაც ვერ უპასუხა ერთ შეკითხვას და ათი მიიღო, რა უსამართლობაა. მასწავლებელი წამოენთო, როგორ ბედავ ასე ლაპარაკს, ან როგორ ბედავ და როგორ ედრები ეთოს, რომელსაც ცხოვრებაში ერთი შეცდომა არ დაუშვია ისტორიაშიო. მერე სხვებიც ალექსს აყვნენ, მართალია, მართალიო! მგონი, უბრალოდ მოსწონდათ ეს პროცესი – ნერვებზე თამაშის. ეთო წამოწითლდა, მასწავლებელმა ფერი დაკარგა, უმადურები და დაუნახავები ხართ, ჩემი კეთილგანწყობისა და მეგობრული დამოკიდებულების ბრალია ყველაფერი, ისეთ მასწავლებელს იმსახურებთ, რომლისაც

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

შეგეშინდებათ და მიიღებთ კიდეც, ხვალვე დავანიშნინებ დირექტორს შემაჯამებელ წერას და მერე ნახავთ, რა დღეში ჩაცვივდებითო. სულ უკანკალებდა ხმა. ამაზე უარესი ამბავი ატყდა... ახლა მასწავლებელი მარტო იმასღა ცდილობდა, ყველა დაეშოშმინებინა და გაეჩუმებინა, ჩემი გაკვეთილიდან ასეთი არაადამიანური ხმები ნუ გადისო. არადა, ყველაფერი იმ გველი ალექსის ბრალი იყო, ხომ ვიცი, უყვარს ასეთი სიტუაციები და ძალით იწყებს ხოლმე. ზარი რომ დაირეკა, მასწავლებელმა სწრაფად სტაცა ხელი ჩანთას და კლასიდან გავარდა.“

„საშლელები“ თამარ გეგეშიძე

- აღმოაჩინეთ მასწავლებლის მიერ დაშვებული ორი შეცდომა.
- განმარტეთ, რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს თითოეულ მათგანს.
- შეიმუშავეთ რეკომენდაცია და ახსენით, როგორ დაეხმარება ის მასწავლებელს თქვენ მიერ დასახელებული თითოეული შეცდომის აღმოფხვრაში.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

მაქსიმალური ქულა - 12

გაკვეთილზე დაკვირვება

სკოლის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა მასწავლებელთა ურთიერთანამშრომლობის ერთ-ერთი ეფექტიანი სტრატეგიის - „კრიტიკული მეგობრის“ დანერგვა. პროექტის ფარგლებში კოლეგები ერთმანეთის გაკვეთილებს ესწრებოდნენ, აფასებდნენ და შეიმუშავებდნენ რეკომენდაციებს.

გთავაზობთ ერთ-ერთი პედაგოგის მიერ კოლეგის გაკვეთილზე დაკვირვების საფუძველზე შექმნილ დოკუმენტს.

გაკვეთილის აღწერა
მასწავლებელმა გაკვეთილი თემის („საიდან მოდის სილამაზე?“ - გიორგი ლეონიძის „მარიტას“ მიხედვით), მიზნისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით დაიწყო. მან მოსწავლეებს თვითშეფასების სქემა დაურიგა და უთხრა, გაკვეთილის ბოლომდე ეტაპობრივად შეევსოთ. წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით მასწავლებელმა დასვა შეკითხვები: • როდის და სად დაიბადა გიორგი ლეონიძე?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

- როდის გარდაიცვალა და სად განისვენებს მწერალი?
- ვინ არიან მოთხრობის „მარიტა“ მთავარი პერსონაჟები?

მოსწავლეები არ აქტიურობდნენ და მასწავლებელმა მათ რამდენჯერმე მოუწოდა, გაეცათ კითხვებზე პასუხი.

მასწავლებელი გაკვეთილიდან გავიდა კომპიუტერის შემოსატანად. იგი უკან დაბრუნდა, ტექნიკური ხარვეზის გამო მასალის ჩვენება ვერ მოახერხა და პრეზენტაცია მინი ლექციით ჩაანაცვლა.

მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, დაეწერათ, როგორია მარიტა მათ წარმოდგენაში, თუმცა შემდეგ, დროის მოგების მიზნით, ზეპირად დაახასიათებინა პერსონაჟი.

მასწავლებელი გაკვეთილის განმავლობაში შეახსენებდა მოსწავლეებს, რომ შეევსოთ თვითშეფასების სქემა.

პედაგოგმა ბავშვებს საშინაო დავალება მისცა. ერთი მოსწავლე განმსაზღვრელი ქულით შეაფასა, ხოლო მეორეს უთხრა: „დღეს ნიშანს არ დაგიწერ, რადგან შენგან მეტს ველოდი. როგორც ჩანს, იზარმაცე.“

გაკვეთილის ბოლოს მაასწავლებელმა აკრიფა თვითშეფასების სქემები.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

წარმოდგენილ აღწერაზე დაყრდნობით შეაფასეთ ჩატარებული გაკვეთილი.

დავალება შეასრულეთ შემდეგი მითითებების მიხედვით:

- გააანალიზეთ ჩატარებული გაკვეთილის ორი დადებითი მხარე.
- გააანალიზეთ ჩატარებული გაკვეთილის ორი უარყოფითი მხარე.
- შეიმუშავეთ რეკომენდაციები და ახსენით, როგორ დაეხმარება ისინი მასწავლებელს თითოეული ხარვეზის აღმოფხვრაში.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

მონაცემთა ანალიზი

საშინაო დავალებას, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე მოქმედ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, საერთაშორისო კვლევების ფარგლებში აქტიურად შეისწავლიან. არა ერთი კვლევა ადასტურებს, რომ საშინაო დავალებასა და მოსწავლეთა მიღწევებს შორის გარკვეული კავშირი არსებობს.

გთავაზობთ ერთ-ერთი სკოლის მენტორი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ კვლევას, რომელიც ეხებოდა საშინაო დავალებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე:

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

გააანალიზეთ დიაგრამაზე ასახული მონაცემები:

— წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით გამოკვეთეთ საკითხი და გამოიტანეთ დასკვნა.

— აღწერეთ სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს თქვენ მიერ დასკვნაში ხაზგასმულ საკითხზე მუშაობაში.

— დაასაბუთეთ, როგორ შეუწყობს ის ხელს სწავლის ეფექტიანობას.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

მაქსიმალური ქულა - 8

ფუნქციური წერა

ინსტრუქცია: *სათქმელი ჩამოაყალიბეთ ნათლად და გასაგებად. მკაფიოდ წარმოაჩინეთ პრობლემის არსი და დამაჯერებლად დაასაბუთეთ საკუთარი მოთხოვნა. გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომელიც 140 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება ენობრივი კრიტერიუმების მიხედვით. ნებისმიერი სახელისა და გვარის, ან თარიღის მითითების შემთხვევაში დავალება არ გასწორდება! თუ გადაწყვეტთ თარიღის მითითებას, ის აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს თქვენი გამოცდის დღეს, მაგალითად, 15.07.2022.*

დავალების პირობა:

სკოლის საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, განახორციელებს პროექტს „თანასწორი გარემო ყველასათვის“. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის სასკოლო სივრცის ადაპტაცია. პროექტისათვის საჭირო ბიუჯეტის ნაწილი სკოლის რესურსებიდან გამოიყო, თუმცა, მისი სრული განხორციელებისათვის ეს საკმარისი არ არის.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

– დამატებითი თანხის მოძიების მიზნით, მიმართეთ რომელიმე ორგანიზაციას და დაუსაბუთეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პროექტის განხორციელება.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 10a 11 12 13 14 15 16 17 17a 18 19 20 21 22 23 23a
24 24a 25 25a 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a